

საქართველოს კანონი

საქართველოს კანონში „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს კანონში „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. მე-6 მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია.

2. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონსა და კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“.

2. კანონს დაემატოს მუხლი 7¹ :

„ საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტის შემუშავება

1. საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტის შემუშავება ხდება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მიერ საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, შესაბამის სფეროში, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მოთხოვნების საფუძველზე, სახელმწიფო ენაზე, რომელიც თარგმნილი იქნება საერთაშორისო ურთიერთობის ერთ-ერთ ენაზე და რომელზედაც შემდგომში გაიმართება მოლაპარაკებები.

2. საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტი ასევე შეიძლება შემუშავებული იქნას ოფიციალური უცხოელი პარტნიორების მიერ მათი ინიციატივის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს შეუძლიათ წარადგინონ ალტერნატიული პროექტი, რომელიც შემუშავებული იქნება ამავე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით.

3. საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტი ასევე შეიძლება შემუშავებული იქნას საერთაშორისო ორგანიზაციისა და კონფერენციის ფარგლებში“.

3. მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12

საერთაშორისო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელება უფლებამოსილების წარდგენის გარეშე

1. საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ მინისტრს და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს უფლება აქვთ განახორციელონ საერთაშორისო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული ყველა სახის მოქმედება უფლებამოსილების წარდგენის გარეშე.

2. საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურს და საქართველოს წარმომადგენლობის მეთაურებს საერთაშორისო ორგანიზაციებში და კონფერენციებში, აგრეთვე მათ ორგანოებში, უფლება აქვთ საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტის მიღების მიზნით უფლებამოსილების წარდგენის გარეშე, აწარმოონ მოლაპარაკება ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან ან მოცემული საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ კონფერენციის ფარგლებში“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2008 წლის ____

№ ____